



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
////////////////////

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** შპს ბუსსს ანრის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ლევან საგინაძის, იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის და ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2020 წლის 10 თებერვლის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N 04);
3. **ძალაშია** დამტკიცების მომენტიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** წარმოებს არაუმეტეს 12 თვის ინტერვალით;
5. **ცვლილებათა შემუშავება და პოლიტიკის განახლება** ხდება შპს ბუსსს ანრიში წინამდებარე დოკუმენტის გამოყენების შედეგების მიხედვით ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული წინამდებარე პოლიტიკა;
6. პოლიტიკის წინამდებარე ვერსია ძალას კარგავს ახალი ვერსიის დამტკიცების შემთხვევაში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება	5
5. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა	6
6. რისკების შეფასება და მართვა	7
7. რისკების კონტროლი	7
8. რისკების პრევენცია	8
9. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა	9
10. პერსონალის სწავლება	9
11. დისციპლინური პოლიტიკა	9
12. მონიტორინგი და ანგარიშგება	9
13. კონფიდენციალურობა	9
14. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი	10
15. გაცნობის ფურცელი	11
16. შეთანხმების ფურცელი	13



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

1. გავრცელების სფერო

- 1.1 შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრის თანამშრომლების უსაფრთხო შრომის პირობებს.
- 1.2 წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს და ვრცელდება შპს ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელზე;
- 1.3 პოლიტიკის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან (ელექტრონული ვერსია), ელექტრონული ვერსია ასევე განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
- 1.4 დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

- 2.1 არსებული შინაგანაწესის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:
- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
 - 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
 - 3) ნდ №2-010101 - შპს ბუსსს ანრის წესდება;
 - 4) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
 - 5) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა
 - 6) საქართველოს შრომის კოდექსი
 - 7) საქართველოს შრომის კოდექსი
 - 8) შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი
 - 9) სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონი
 - 10) 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** - ქმედება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დანტკიცება, გაუქმება;
2. **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)** - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოდულოების სფეროსათვის;
3. **ცვლილებები** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;
4. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური

3.2 შემოკლებები

1. **ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

4. ზოგადი დებულება

ბუსსს ანრის საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

სასწავლებლის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით სასწავლებელში პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზურუნველყოფს დასაქმებულთა, მსმენელთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას, მიისწრაფვის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ. ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტები.

ბუსსს ანრი უზურუნველყოფს ტრავმებისგან და პროფესიული დაავადებებისგან თავისუფალ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვითა და მენეჯმენტის, დასაქმებულებისა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით.

► სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზურუნველსაყოფად სასწავლებლის ხელმძღვანელობა და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული:

- ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღწეს.
- უზურუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.
- დასაქმებულებს აცნობს შრომის უსაფრთხოებასთან, საფრთხეებთან და რისკებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს და ახორციელებს მათ ინსტრუქტაჟს.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს.
- რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას.
- დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს, ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე.

5. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

სასწავლებელში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაინერგა მორალური, სამართლებრივი და ფინანსური მიზეზების გამო:

- ❖ **მორალური** - როდესაც შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშაო გარემოს გამო, მომხდარი უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო მათზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.
- ❖ **სამართლებრივი** - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმებს და ჩვენი ორგანიზაცია მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.
- ❖ **ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ბუსსს ანრის შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სასწავლებელს, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს ბუსსს ანრის საქმიანობისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, სასწავლებელში შეიქმნა წინამდებარე შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.


ბუსსს ანრი იღებს პასუხისმგებლობას აწარმოოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სიტემის მთავარ ელემენტებად



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy**

განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია PDAC მოდელზე



6. რისკების შეფასება და მართვა

- 1) ბუსსს ანრი ახორციელებს სასწავლებელში არსებული რისკების საერთო შეფასებას პერიოდულობის საჭიროების მიხედვით. რისკების საერთო შეფასება ასევე ხდება სასწავლებელში არსებული სამუშაო გარემოს, ტექნოლოგიის ცვლილების შემთხვევაშიც.
- 2) რისკების შეფასებისას ხდება საფრთხეების იდენტიფიცირება და როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა.
- 3) სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი მოცემულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სათანადო ხელმძღვანელ პირთან ერთად.
- 4) სამუშაო პროცედურებისა და სამუშაო სივრცეში არსებული ვითარების ცვლილებებიდან გამომდინარე პერიოდულად ხორციელდება რისკების შეფასების დოკუმენტის განახლება.
- 5) ყოველი კონკრეტული საშიშპირობებიანი სამუშაოს დაწყების წინ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ახორციელებს საფრთხეებისა და რისკების შეფასებას სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ასევე ხელს აწერენ ჯგუფის წევრები/სამუშაოში მონაწილე პერსონალი.
- 6) მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამის კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მისაღებ დონეზე დაყვანამდე.
- 7) ბუსსს ანრი რისკების შეფასების დოკუმენტის შევსებას აწარმოებს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით და საფრთხეების აღმოჩენისას.

7. რისკების კონტროლი

რისკების კონტროლის ზომები (საპასუხო ღონისძიებები) არის: თავის არიდება (მაგ. თუ რისკი არის მიუღებელი შესაძლებელია მისი თავიდან არიდება, იმ გადაწყვეტილების არმიღების და იმ ღონისძიების არგანხორციელების გზით, რაც იწვევს რისკის წარმოქმნას), კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება, შეგუება და მონიტორინგი (მაგ. რისკი მისაღებია და ხდება მასთან შეგუება და მონიტორინგი იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება არაპრაქტიკული ან შეუძლებელია.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

ასევე, შეგუებას და მონიტორინგს ვახდენთ ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს) და ა.შ. რისკის შეფასების შედეგად, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების კოტროლისთვის და როგორია ყველაზე უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია.

არსებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებისას ან ახალი საპასუხო ღონისძიების (დამატებითი კონტროლის ზომის) შემოღებისას უნდა გავითვალისწინოთ რისკების კონტროლის იერარქია, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

1. აღმოფხვრა: საფრთხის წყაროს მოშორება;
 2. ჩანაცვლება: მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
 3. საინჟინრო კონტროლის განხორციელება: საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება; ადმინისტრაციული კონტროლი: პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა შრომის უსაფრთხოებისათვის და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება;
 4. ადმინისტრაციული კონტროლი: წესების შემუშავება-ცვლილება; სწავლება.
 5. ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა: მას შემდეგ, რაც ყველა ზემოხსნებული იქნება გათვალისწინებული, გამოყენებული ან/და აღმოჩნდება არაეფექტური.
- დამატებითი კონტროლის ზომებს შორის საუკეთესოს შერჩევა მოიცავს ყოველი სახის ღონისძიების ხარჯისა და სარგებლის შედარებას.

რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველებაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კონტროლის ზომების ბიუჯეტი არის შეზღუდული, ღონისძიებების გეგმამ უფსტად უნდა ასახოს ის პრიორიტეტები, რომელსაც დაეფუძნება გეგმა.

8. რისკების პრევენცია

- 1) ბუსსს ანრის, მუშაობის ყველა ეტაპზე რისკების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, იღებს პრევენციულ ზომებს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:
 - ზრუნავს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
 - აფასებს იმ რისკებს და საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
 - ზრუნავს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;
 - შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩანაცვლებს საფრთხის შემცველ ფაქტორებს უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით.
- 2) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შპს ბუსსს ანრი ნერგავს შრომის უსაფრთხოების წესებსა და ინსტრუქციებს.
- 3) საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, შპს ბუსსს ანრი გეგმავს სამუშაო სივცეში მყოფი პირების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს.
- 4) ბუსსს ანრი კოლექტიური დაცვის საშუალებებს უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 5) ბუსსს ანრი უზრუნველყოფს დასაქმებულებისათვის შესაბამისი ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

9. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

ბუსსს ნარიში არსებობს სამედიცინო პუნქტი, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარი და იმყოფება ექთანი. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს სასწავლებლის ექთანს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება. სასწავლებელი პასუხისმგებელია სამედიცინო ინვენტარისა და მასალების ვარგისიანობაზე და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ ხდება მათი გამოყენება ექთნის მიერ.

10. პერსონალის სწავლება

ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაიაროს შესავალი (უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები) ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე, საგანგებო სიტუაციებისა და ევაკუაციის დროს ქვევის წესებზე. ასევე, შესაბამისმა პერსონალმა უნდა გაიარონ მომზადება კონკრეტული სპეციფიკური სამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებში. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და უსაფრთხოების წესებს.

11. დისციპლინური პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა რთულია გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, სასწავლებლის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების დაცვა. სასწავლებელში მოქმედი დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მოქმედებს შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომები, რომელიც დადგენილია შინაგანაწესით.

12. მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ბუსსს ანრიში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი, ასევე, აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. მონიტორინგის შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

13. კონფიდენციალურობა

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy

15. პერსონალის შინაგანწესთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	დოლონაძე ბადრი	პრო-რექტორი	17.02.2020		
2	ესანჯია აკაკი	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	17.02.2020		
3	ბეჟანიძე ირაკლი	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	17.02.2020		
4	ბერიძე რევაზ	ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტი	17.02.2020		
5	ბოგდანოვი ვლადიმერ	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი	17.02.2020		
6	გოგიტიძე ირაკლი	სამეურნეო განყოფილების უფროსი; შესყიდვების განყოფილების უფროსი	17.02.2020		
7	დევაძე თემურ	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი	17.02.2020		
8	დიასამიძე ზურაბ	შესყიდვების მენეჯერი	17.02.2020		
9	წივწივაძე ირაკლი	საფინანსო განყოფილების უფროსი	17.02.2020		
10	დიასამიძე ნათია	სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი	17.02.2020		
11	დიასამიძე ომარ	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	17.02.2020		
12	დიასამიძე ჟუჟუნა	ბიბლიოთეკის გამგე	17.02.2020		
13	დუმბაძე მზია	არქივარიუსი	17.02.2020		
14	ზაქარიაძე სალომე	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	17.02.2020		
15	მამულაძე სოფიკო	მთავარი ბუღალტერი	17.02.2020		
16	მენაბდე ხატია	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	17.02.2020		
17	მიქელაძე თამარ	ექთანი; საერთო საცხოვრებელის ადმინისტრატორი	17.02.2020		



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy**

16. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

**შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
Labor Safety Policy**

ნდ N-2-010105

1.2 შინაგანაწესის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ლევან საგინაძე
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე
ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

_____ \ _____ \

_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	რექტორი რუსლან დიასამიძე				
2	შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი დავით ჩხაიძე				
3					

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა: _____ ხელმოწერა _____ სახელი, გვარი _____ თარიღი